№ 1-01-021

02/10/2025

ბრძანება

ქ. ბაღდათი

2025 წელს სასტუმრო მომსახურების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის შესახებ

„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ მე-8 მუხლისა და 24-ე მუხლის მე-10 - მე-14 პუნქტების, „2025 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის პერიოდის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 6 აგვისტოს №958417 ბრძანების, „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ შპს მსოფლიო განათლების აკადემიის (შემდგომში - აკადემია) დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №032 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მართვის წესის“ მე-8 მუხლის, მე-10 მუხლის, მე-15 მუხლის, მე-17 - მე-19 მუხლებისა და 25-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. აპლიკანტთა შეფასება განხორციელდეს 2025 წლის 10 ოქტომბერს, ორი ნაკადის მიღებით, შემდეგი პერიოდულობით:
ა) პირველი ნაკადი - 11:00 სთ-დან 13:00 სთ-ის ჩათვლით;
ბ) მეორე ნაკადი - 14:00 სთ-დან 16:00 სთ-ის ჩათვლით.
2. უზრუნველყოფილ იქნეს ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ასახვა აპლიკანტთა რეგისტრაციის მიზნით შექმნილ სარეგისტრაციო სისტემაში (შემდგომში - სარეგისტრაციო სისტემა), ასევე, აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.weaedu.ge. განთავსება, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.
3. ბრძანების პირველი პუნქტით დადგენილი შეფასების თარიღის შესახებ აპლიკანტთა ინფორმირება განხორციელდეს სარეგისტრაციო სისტემაში აპლიკანტთა მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე.
4. აპლიკანტთა შეფასების მეთოდად განისაზღვროს აკადემიის შიდა ტესტირება, რომელიც ჩატარდება აკადემიის ტერიტორიაზე (მისამართი: ქ. ბაღდათი; შოთა რუსთაველის ქუჩა №24).
5. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვროს 5 ქულით, ხოლო მაქსიმალური - 20 ქულით.
6. შესარჩევი კომისიის ფორმირება მოხდეს აკადემიისა და მისი პარტნიორი ორგანიზაცი(ებ)ის წარმომადგენლ(ებ)ით და შეიქმნას შემდეგი შემადგენლობით:

ა) ლალი ღამბარაშვილი - **თავმჯდომარე** (აკადემიის სასტუმრო მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი);
ბ) მარიამ გელხვიიძე - **მდივანი** (აკადემიის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი);
გ) ნათია კონცელიძე - **წევრი** (აკადემიის დირექტორის მოადგილის (სასწავლო-საკომუნიკაციო მიმართულებით));
დ) მარია რომანოვა - **წევრი** (აკადემიის დირექტორი);
ე) თამილა ხურცილავა - **წევრი** (სასტუმრო დინასტია, ინდივიდუალური მეწარმე).
7. შესარჩევი კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება არანაკლებ 3 წევრი (მათ შორის, სავალდებულოა დამსაქმებელი პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენელი ერთი პირის არსებობა). შესარჩევი კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება აპლიკანტის მიერ შესრულებული ტესტის წინასწარ დამტკიცებული ტესტის სწორ პასუხებთან შედარებით და ქულის მინიჭებით დადებითი შეფასებისათვის განსაზღვრული კომპეტენციის ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.
8. შესარჩევი კომისიის მიერ ხდება აპლიკანტთა შერჩევის შედეგების შეჯერება და პროგრამის ფარგლებში მისაღები კვოტის შესაბამისად იმ აპლიკანტთა გამოვლენა, რომლებმაც გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი-რეიტინგული სიებით უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, მოიპოვეს შესაბამის პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება.
9. შესარჩევი კომისიის წევრი ვალდებულია, ტესტირების დასრულების შემდეგ, ხელმოწერილი შეფასების ფურცელი პირადად ჩააბაროს კომისიის მდივანს.
10. შესარჩევი კომისიის მდივანი ადგენს კომისიის მუშაობის ოქმს, ტესტირების შედეგები გადააქვს შემაჯამებელ უწყისში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მუშაობაში მონაწილე ყველა წევრი და კომისიის მდივანი.
11. შესარჩევი კომისიის მდივანი ოქმსა და შემაჯამებელ უწყისს წარუდგენს აკადემიის დირექტორს. აღნიშნული ოქმი და შემაჯამებელი უწყისი არის შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის საფუძველი.
12. შესარჩევი კომისიის წევრი ვალდებულია გააკეთოს განცხადება თვითაცილების შესახებ თუ ის:
ა) არის აპლიკანტის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი;
ბ) არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.
13. შესარჩევი კომისიის მუშაობის შეფასების დამკვირვებლად განისაზღვროს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი - ხატია აფრასიძე, რომელიც საქმიანობას განახორციელებს აკადემიის დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №032 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მართვის წესის“ მე-13 მუხლის შესაბამისად.
14. აპლიკანტს უფლება აქვს წერილობითი განცხადებით გაასაჩივროს შედეგები (რომელიც მას ეცნობება ტესტირების ჩატარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში) მისი გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
15. საჩივარს განიხილავს აკადემიისა და მისი პარტნიორი ორგანიზაცი(ებ)ის წარმომადგენლებით ფორმირებული არანაკლებ სამკაციანი სააპელაციო კომისია, რომელიც იქმნება იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს.
16. სააპელაციო კომისია ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს.
17. სააპელაციო კომისია განიხილავს აპლიკანტის საჩივარს, ეცნობა შესარჩევი კომისიის მუშაობის ამსახველ ოქმს (გასაუბრებისას) და იღებს გადაწყვეტილებას შესარჩევი კომისიის მიერ დაწერილი ქულის ძალაში დატოვების ან/და შეცვლის შესახებ. საკითხის მოკვლევისას შესაძლებელია განხორციელდეს აპლიკანტთან და კომისიის წევრებთან გასაუბრება;

18. სააპელაციო კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) აპლიკანტის მიერ შერჩევის პროცედურის დარღვევისას – მისი ნული ქულით შეფასების თაობაზე;
ბ) აპლიკანტის უფლებების დარღვევის დადასტურებისას – მისი შეფასების გადახედვის თაობაზე;
გ) აპლიკანტის შეფასების შედეგების უცვლელად დატოვების შესახებ.
19. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთი სამუშაო დღის ვადაში ეცნობება აპლიკანტს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
20. სააპელაციო კომისიის მუშაობის შედეგი აისახება ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავჯდომარე და მდივანი.
21. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდება შეფასებაზე, მას საშუალება აქვს განმეორებით ერთხელ კიდევ გავიდეს ტესტირებაზე, რისთვისაც ის განცხადებით მიმართავს აკადემიის დირექტორს აკადემიის მიერ დადგენილ ვადაში და წარადგენს შესაბამის მტკიცებულებას.
22. განმეორებით შეფასებაზე გამოუცხადებლობა წარმოადგენს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს.
23. განმეორებითი შეფასება ტარდება განცხადების წარდგენიდან არაუმეტეს ერთი კვირის განმავლობაში.
24. განმეორებითი შეფასების შედეგები აპლიკანტს ეცნობება შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 (ორ) სამუშაო დღეში.
25. აკადემიის მიერ შეფასების შედეგების დადგენა და ასახვა უნდა განხორციელდეს „2025 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის პერიოდის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 6 აგვისტოს №958417 ბრძანებით დადგენილ ვადაში - არაუგვიანეს 2025 წლის 24 ოქტომბრისა.
26. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვა განხორციელდეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 24-ე მუხლის მე-10 - მე-14 პუნქტების შესაბამისად.

მსოფლიო განათლების აკადემია
დირექტორი
რომანოვა მარია